

განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში“
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

აღნიშნული პროექტის შემუშავების მიზეზს წარმოადგენს შემდეგი გარემოებები:

– 2010 წელს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

– დღეს მოქმედი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობა 2011 წელს არ უნდა აღემატებოდეს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მაჩვენებლის 29%-ს, ხოლო 2012 წელს – 27%-ს. 2011 წელს წინა წლების მსგავსად გაგრძელდება ქვეყნის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, რაც დაკავშირებული იქნება სახელმწიფოს მხრიდან დიდი ოდენობით თანხების ინვესტირებასთან. შესაბამისად, საჭიროა კოდექსის აღნიშნული მუხლის კორექტირება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზანია:

– „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა.

– სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე მიმართული სახსრების მოცულობის შენარჩუნება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

– მიმდინარე წელს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროებს შეეცვალა სახელი და ასევე აღნიშნული ცვლილების საფუძველზე შეიქმნა ახალი სამინისტრო საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს 25-ე და 44-ე მუხლებში.

– 112-ე მუხლის ახალი რედაქციით დგინდება ახალი ზღვარი სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებული ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი ოდენობის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტთან მიმართებაში,

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.